



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 29
09/06/2017

29-04-4-201706091507



„ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2017 წლის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის №11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. „ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2017 წლის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის №11 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და „2017 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ დამტკიცდეს თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ.სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში(მისამართი : ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

მიზნობრივი პროგრამა

1. პროგრამის სახელწოდება

2017 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი.

01 იანვარი 2017 წელი

31 დეკემბერი 2017 წელი

3. ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 74 200 (სამოცდათოთხმეტიათას ორასი) ლარს.

4. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროები - ძირითადი - ქედის მუნიციპალიტეტი 74 200 (სამოცდათოთხმეტიათას ორასი) ლარს

5. ქვეპროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო - ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

6. პროგრამის აღწერა, მისი აქტუალობის და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა

ქედის მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროების განვითარება. პრიორიტეტების წარმოჩენისა და ეროვნული ღონისძიებების პოპულარიზაციის მიზნით შესაბამისი გარემოს შექმნა.

7. ქვეპროგრამის მიზნები

ქვეპროგრამის მიზანია 2017 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება

8. ქვეპროგრამის ხარჯები

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება	ღონისძიების ხარჯი (ლარი)
კულტურულ-საგანმანათლებლო	74 200
სულ	74 00

9. ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 74 200 (სამოცდათოთხმეტიათას ორასი) ლარს.

კულტურის ღონისძიებები

N	ღონისძიებების დასახელება	შესრულების დრო	თანხა	შენიშვნა
1	გაუთვალისწინებელი ღონისძიებები	წლის განმავლობაში	6411.32	
2	დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	მარტი	2103.86	
3	9 აპრილი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე	აპრილი	210.10	
4	სიმღერისა და ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა	აპრილი-ივნისი	1601.60	
5	9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღე	მაისი	462	
6	26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე	მაისი	1184.48	
7	ფრიდონობა	მაისი	1016.40	

8	ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე	1 ივნისი	1270.50	
9	8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	აგვისტო	169.40	
10	მოსწავლეთა ერთკვირიანი საზაფხულო ინგლისურენოვანი ბანაკის მოწყობა	ივნისი	4681	
11	მასწავლებელთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	ოქტომბერი	2000	
12	საახალწლო -საშობაო ღონისძიებები	დეკემბერი	14552	8200 ლარი 2016 წლის საახალწლო-საშობაო ღონისძიების დავალიანება.
13	ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა	წლის განმავლობაში	7127	
14	ტურიზმის და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებები	წლის განმავლობაში	2650.34	
15	ეტალონი	წლის განმავლობაში	3960	
16	მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლების, გუნდებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობა ადგილობრივ, საერთაშორისო და სხვადასხვა ღონისძიებებში	წლის განმავლობაში	10800	
17	ლიტერატურული ნაწარმოების „დედაო ჩემო ქედაო“ ავტორისათვის ჰონორარის გადახდა და წიგნის დაბეჭდვა-გამოცემა ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისა და ბიბლიოთეკებისათვის - მათ შორის:			
	ლიტერატურული ნაწარმოების „დედაო ჩემო ქედაო“ ავტორისათვის ჰონორარის გადახდა	წლის განმავლობაში	4000	
ლიტერატურული ნაწარმოების „დედაო ჩემო ქედაო“ წიგნის დაბეჭდვა-გამოცემა ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისა და ბიბლიოთეკებისათვის	10 000			
სულ			74 200	